ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7988608

ნომერი: AR11148260

თარიღი : 18.06.2026

გაცემის თარიღი : 02.07.2026

გაცნობის თარიღი : 02.07.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 87ზ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01010006354
- ნუცუბიძის 4 მ/რ მე-14 კორპ. ბინა 46

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 18/06/2026 წლის AR11148260 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.13.06.004.049 მიწის ნაკვეთზე მაღაზიის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით სარეკონსტრუქციო არეალში არის დაპროექტებული ავტოსადგომები, მათი რაოდენობის შემცირება და მის ნაცვლად ლიფტის მოწყობა არ არის მისაღები, რადგან ირღვევა კანონმდებლობა ავტოსადგომის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 18/06/2026 წლის AR11148260 განცხადებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.